სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 აგვისტო 2025

N 420/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ბათუმის აეროპორტის“ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბათუმის აეროპორტის“ (კომპანია) მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ შესაბამისად. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, ქ.ბათუმში, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2010 წლის 22 დეკემბერს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის საქმიანობაზე გაცემულია №86 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2019 წლის 25 ნოემბერს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1140). ამასთან, 2020 წლის 27 თებერვალს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ტერმინალის შენობის რეკონსტრუქცია) ასევე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №2-183), რომლის თანახმად, დაგეგმილი ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ასევე, 2024 წლის 8 ოქტომბერს, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (№573/ს), რომლითაც დაგეგმილი ცვლილება ასევე არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი განთავსებულია ქ. ბათუმში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 05.32.22.035; ფართობი: 115 ჰა (1158469 მ^2). ტერიტორიას ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები, სამხრეთითა და სამხრეთ-დასავლეთით – სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, ხოლო დასავლეთით – საავტომობილო გზა, სანაპირო ზოლი და შავი ზღვა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს აეროპორტის საკადასტრო საზღვრის მომიჯნავედ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობით, აეროპორტის ტერიტორიაზე მოწყობილია ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი (150 000 მ^2), 2 სამანევრო ბილიკი (15 200 მ^2), მოსაბრუნებელი მოედნები (18 239 მ^2), ბაქანი (50 293 მ^2), მგზავრთა მიმღები ტერმინალი. აეროპორტი მუშაობს წელიწადში 365 დღე, დასაქმებულია 237 ადამიანი და წლის განმავლობაში შეუძლია მოემსახუროს 1 200 000 მგზავრს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიის მიერ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებულია თვითმფრინავების სადგომი ბაქნის და მგზავრთა მიმღები ტერმინალის შენობის გაფართოება, ასევე, არსებული, ავტომობილების საწვავით გასამართი სადგურის ადგილმდებარეობის ცვლილება.

თვითმფრინავების სადგომი ბაქნის გაფართოება/რეაბილიტაცია დაგეგმილია ბაქნის დასავლეთით, 8 200 $მ^2$-ით. გაფართოების მიზანია „C“ კატეგორიის საჰაერო ხომალდების სადგომის მოწყობა, ასევე ვერტმფრენის სადგომის მოწყობა. ბაქნის გაფართოებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის ნაწილი დაფარულია ძველი ასფალტის საფარით, ნაწილი - ტექნიკური გრუნტით. გაფართოების ტერიტორიაზე გათვალისწინებულია არსებული კომუნიკაციების - სანიაღვრე სისტემის, საკანალიზაციო ქსელის, ელექტრო მომარაგების, მიწისქვეშა ხაზების გაყვანის ადგილების ცვლილება და ახალი დაერთებების დაპროექტება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, არსებულ მგზავრთა მიმღები ტერმინალის შენობას მიაშენდება სამი სივრცე: I სივრცე (194.3 $მ^2$) დაგეგმილია გამოყენებული იქნას დასაქმებული პერსონალის საოფისედ; II სივრცე (126.4 $მ^2$) - დამხმარე მიშენება დასაქმებული პერსონალისა და აეროპორტის ოპერირების გასაუმჯობესებლად; III სივრცე (103.0 $მ^2$) - მგზავრთა ნაკადის კომფორტისა და მოწესრიგებისთვის.

აეროპორტის ტერიტორიაზე არსებული, ავტომობილების საწვავით გასამართი სადგური შედგება 2 ავზისა და 2 სვეტისაგან. ავზებს გააჩნიათ მაღალი უსაფრთხოების სისტემები, ავარიული დაღვრისგან დამცავი რეზერვუარი, ელექტროკარადა და ჩამოსხმის სვეტი. აღნიშნული რეზერვუარებიდან ერთი (1 200 ლიტრი) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო მეორე (2 400 ლიტრი) – დიზელის საწვავისთვის. ავტოგასამართ სადგურზე წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 8 000 ლიტრი ბენზინისა და 45 000 ლიტრი დიზელის მიღება-გაცემა. ავტომობილების საწვავით გამართვის არსებული პუნქტი მდებარეობს დაგეგმილი ბაქნის გაფართოების ტერიტორიაზე, შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, გასამართი სადგური უცვლელად, იგივე შემადგენელი ინფრასტრუქტურული ერთეულებით გადავა შემდეგ მდებარეობაზე (GPS კოორდინატები: X-717656; Y-4609109). სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 3 თვის განმავლობაში და სამუშაოების წარმოებისას გამოყენებული იქნება სატვირთო, ექსკავატორი და ბულდოზერი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, აეროპორტის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება ხდება ტექნიკური და სახანძრო დანიშნულებით. აეროპორტის ტერიტორიაზე მოწყობილია 2 ჭაბურღილი, საიდანაც ხორციელდება ტერიტორიის წყალმომარაგება. აეროპორტის ტერიტორიაზე ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო-ჩამდინარე წყლების წარმოქმნას, რომელიც იკრიბება საკანალიზაციო სისტემაში, ჩაედინება გამწმენდ ნაგებობაში, ხოლო გაწმენდილი წყალი, ღია არხის საშუალებით, ჩაედინება შავ ზღვაში. ამასთან, ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, მოწყობილია სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემა, რომელიც კრებს ატმოსფერულ ნალექებს. დოკუმენტის თანახმად, თვითმფრინავები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რაც გამორიცხავს საწვავის ავარიულ დაღვრას, ხოლო ასაფრენ-დასაფრენ ბილიკზე ავტომანქანები არ გადაადგილდება, სანიაღვრე წყლებში არ ხვდება ნავთობპროდუქტები და შესაძლებელია განვიხილოთ პირობითად სუფთა წყლად, რომელიც გაწმენდას არ საჭიროებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების კუთხით, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მიწის სამუშაოები, რომელიც იქნება დროებითი. ბაქნის გაფართოება/რეაბილიტაციას ექნება დროებითი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, ხმაურის და ემისიების კუთხით. ჩასატარებელი სამუშაო მასშტაბური არ არის, მოითხოვს უმეტესად არსებული საფარის რეაბილიტაციას. შესაბამისად, სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. აღსანიშნავია, რომ

ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გაფრქვევის ახალი სტაციონარული წყაროების განთავსება დაგეგმილი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის პროცესში ერთჯერადად მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომელიც შეგროვდება შპს „ბათუმის აეროპორტის“ ურნებში და გაიტანება ხელშეკრულების შესაბამისად. აეროპორტის ტერიტორიაზე დანერგილია ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების სისტემა, ხოლო ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად. რაც შეეხება მიწის სამუშაოების დროს ამოღებულ გრუნტს, სრულად იქნება გამოყენებული უკუყრილის სახით და ტერიტორიის მოსწორებისთვის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აეროპორტის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გათვალისწინებულია არსებული აეროპორტის ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ ტერიტორიაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ბაქანი და ტერმინალის შენობა შავი ზღვის სანაპიროდან დაშორებულია 2.0 - 2.6 კმ-ით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების მახასიათებლების (მასშტაბი, სპეციფიკა, ბუნებრივი რესურსების გამოყენება, ნარჩენების წარმოქმნა და სხვ.), განხორციელების ადგილის, ცვლილების არსებულ გარემოსთან თავსებადობის, ცვლილების შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხარისხისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, აღნიშნული ცვლილებების შედეგად გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ბათუმის აეროპორტის“ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 25 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1140) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის

ნორმების პროექტის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენა, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე, უზრუნველყოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება;

4. შპს „ბათუმის აეროპორტი“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის განახლებული გეგმის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან ერთად გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინსტრუმენტული გაზომვის საკითხი (მონიტორინგის სიხშირის, მონიტორინგის წერტილების GPS კოორდინატების და მიღებული შედეგების სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით). მონიტორინგი განახორციელოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმის შესაბამისად;
5. შპს „ბათუმის აეროპორტისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 25 ნოემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1140) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბათუმის აეროპორტს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის აეროპორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ქ. ბათუმის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/420-21-4-202508111632

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE